6665
ლიტერატურის სახ. სახ. სა[illegible] სახელმწიფო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 8 აგვისტო, 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 32 (191) ფასი 30 კაპ.

## ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

განუყოფელი, ფოლადზე უფრო მტკიცე და მთლიანია საბჭოთა ხალხების სტალინური მეგობრობა. ეს მეგობრობა, რომელიც მთელი განვლილი წლების მანძილზე იზრდებოდა და მტკიცდებოდა, რომლისთვისაც ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით თავდაუზოგავად იბრძოდნენ ჩვენი სამშობლოს ყველა ეროვნების მოწინავე ადამიანები, წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, წარმოადგენს ჩვენი გამარჯვების მტკიცე და უტყუარ საწინდარს. საბჭოთა ადამიანების გმირობაში, ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრების თავგანწირულებაში, საბჭოთა პატრიოტების მრავალმილიონიანი არმიების მზადყოფნაში სამშობლოს დასაცავად ცოცხლობს და ღღეგრძელობს ხალხთა სტალინური მეგობრობა.

სამამულო ომის ფრონტებზე ერთნაირი გატაცებით და სიმამაცით იბრძვიან ჩვენი უზარმაზარი სამშობლოს ყველა ხალხის საუკეთესო შვილები. დიდ რუს ხალხთან ერთად სამშობლოს დასაცავად ფეხზე დადგნენ უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, სომხები და საერთოდ ყველა ხალხი, რომელნიც ერთად იცავენ დიდ სამშობლოს, იცავენ იმ ქვეყანას, რომელიც მათ ერთად ააშენეს და ააყვავეს დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით.

ხალხთა მკვიდრ გაერთიანებას ჩვენ მივაღწიეთ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის მტკიცე და თანმიმდევრული განხორციელების გზით. დიდი ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე დიდმა რუსმა ხალხმა, სსრ კავშირის თანასწორ ხალხთა შორის პირველმა, უდიდესი დახმარება აღმოუჩინა წინად ჩამორჩენილ და ჩაგრულ ერებს, დაეხმარა მათ გამოსულიყვნენ თავისუფალი განვითარების, წინათ უნახავი ნაციონალური აყვავების ფართო გზაზე.

საბჭოთა ხელისუფლების დროს გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა ხალხების უძლეველი და მტკიცე თანამეგობრობა. ამ გზით საბჭოთა კავშირის მშრომელთა მრავალეროვანი მასები შეკავშირდნენ ერთიან მძლავრ სახელმწიფოდ. მთელს ჩვენს ქვეყანაში აყვავდა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა, ამ კულტურით სამართლიანად ამაყობენ საბჭოთა კავშირის ხალხები. სამართლიანად ვამაყობთ ჩვენ ჩვენი აყვავებული საკოლმეურნეო მინდვრებით, ჩვენი მძლავრი ინდუსტრიით, ჩვენი ლამაზი სოფლებითა და ქალაქებით. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ქვეყნით, უმაგალითო, მდიდარი, ადამიანის თავისუფლებისა და ჰუმანიზმის ქვეყნით და ყოველი საბჭოთა პატრიოტის გულში სამშობლოსადმი ჩაუქრობელი სიყვარულის ცეცხლი ღვივის.

ახლა როცა ჩვენი სამშობლოსათვის სერიოზული საშიშროება შეიქმნა, როდესაც ჩვენი ქვეყანა აღსდგა ფაშიზმის ველური ურდოების განადგურებლად, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, როგორც ერთი კაცი, გამსჭვალულია ერთი მისწრაფებით, იბრძვის და შრომობს ერთი გატაცებით, რათა სასწრაფოდ აღკვეთოს ფაშიზმის ურდოების თავდასხმა და მოსპოს ფაშიზმი, აღგავოს იგი პირისაგან მიწისა. უსაზღვროა ჩვენი ხალხის სიძულვილი ფაშიზმისადმი, იმ გაცოფებული, გაფთრებული კაციჭამიების ბანდებისადმი, რომელთაც დაიმონეს და ფეხქვეშ გათელეს ევროპის კონტინენტის ხალხები. ფაშიზმი თავის ველურ ბოდვაში მთელი ერების ამოწყვეტას, განადგურებას იქადის, ის იქადის გაძარცვოს და მონებად აქციოს თავისუფალი საბჭოთა ხალხი. არასოდეს ეს არ მოხდება! მთელი საბჭოთა კავშირი, ყველა მშრომელი მზად არის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს საყვარელ სამშობლოს დასაცავად.

საბჭოთა ხალხი გმირი ხალხია. სტალინის ხელით აღზრდილი ფოლადისებური თაობები ანადგურებენ ვერაგი მტრის ურდოებს ხმელეთზე, წყალზე და ჰაერში. ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს სსრ კავშირის ყველა ხალხი. ხალხის უფრო და უფრო გაძლიერებული რისხვის, ხალხის სიძულვილის მძლავრი ნაკადი წალეკავს და გაანადგურებს გერმანული ფაშიზმის ველურ და ყაჩაღურ ურდოს. სამშობლოს დასაცავად ფეხზე დადგა ტიტანი — დიადი საბჭოთა ხალხი, იგი უძლეველია თავისი შემჭიდროებით. საბჭოთა ხალხი იყო, არის და იქნება ბოლომდე ერთგული ბოლშევიკური პარტიისა, დიდი სტალინისა.

საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ დიდ სამამულო ომში იგი იცავს არა მარტო თავის სამშობლოს, იგი იცავს მთელი პროგრესიული კაცობრიობის საქმეს.

საბჭოთა ხალხი და მისი მამაცი წითელი არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი მოსპობენ და გაანადგურებენ ფაშისტურ ქვეწარმავალს. გამარჯვება ჩვენი იქნება!

## თავდაცვის სახალხო ფონდში

შაბათს, 2 აგვისტოს, შესდგა მწერალთა და ლიტერატურულ ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომლის დღის წესრიგში იდგა თავდაცვის ფონდში მწერალთა კავშირის წევრთა და აღნიშნული ორგანიზაციის მუშა-მოსამსახურეთა მონაწილეობის საკითხი. კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. ირ. აბაშიძემ. მან მოუწოდა მწერლებს, მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად, მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდის შექმნის საქმეში. დამსწრენი მხურვალე პატრიოტული აღტყინებით გამოეხმაურენ ჩვენი სამშობლოს მშრომელთა წინადადებას თავდაცვის სახალხო ფონდის შექმნის შესახებ. იმავე კრებაზე დაიწყო მწერალთა და მუშა-მოსამსახურეთა მიერ თავდაცვის ფონდში წვლილის შეტანა.

ალ. აბაშელმა შეიტანა 500 მანეთი ნაღდად და 1.000 მანეთის ობლიგაციები, ა. მაშაშვილმა — 2.000 მანეთი, გ. ლეონიძემ—2.000 მანეთი, ს. ეულმა—500 მანეთი და 2.000 მანეთის ობლიგაციები, ილო მოსაშვილმა — 500 მანეთი და 1.000 მანეთის ობლიგაციები, ი. ლისაშვილმა—900 მანეთის ობლიგაციები, ი. გრიშაშვილმა—500 მანეთის ობლიგაციები, შ. დადიანმა — [illegible] ს. კლდიაშვილმა—500 მანეთი და 500 მანეთის ობლიგაციები, ირ. აბაშიძემ—500 მანეთი და 1.000 მანეთის ობლიგაციები, გ. წულუკიძემ — 300 მანეთი და 700 მანეთის ობლიგაციები, ს. მთვარაძემ — ვერცხლის პორტსიგარი და 400 მანეთის ობლიგაციები, გრ. აბაშიძემ — 500 მანეთი, პ. კაკაბაძემ — 500 მანეთი, ე. ასტვაცატუროვმა—500 მანეთის ობლიგაციები, გ. ქიქოძემ — 420 მანეთის ობლიგაციები, ს. ქვარიანმა — 400 მანეთის ობლიგაციები, ნ. ლორთქიფანიძემ—400 მანეთის ობლიგაციები, დ. სულიაშვილმა — 465 მანეთის ობლიგაციები, პ. ინგოროყვამ — 500 მანეთი, ა. ადამიამ — 500 მანეთი, მარიჯანმა — დიდი ვერცხლის კოვზი და 500 მანეთის ობლიგაციები, ა. ჭეიშვილმა — 400 მანეთი და 500 მანეთის ობლიგაციები, ს. ერთაწმინდელმა — 485 მანეთის ობლიგაციები, ი. ტატიშვილმა — 5% თავისი ჰონორარისა და ობლიგაციები, ა. სიჭინავამ—500 მანეთი და 370 მანეთის ობლიგაციები, გალაქტიონ ტაბიძემ—500 მანეთის ობლიგაციები, დ. გაჩეჩილაძემ—300 მანეთი და 250 მანეთის ობლიგაციები, ს. წვერავამ და ილია აღლაძემ ერთი დღის ხელფასი ყოველ- [illegible]

**ის ჩვენი გამარჯვება,**
**მტრისთვის სამარის ლოდი.**
**ჩვენი მედგარი შრომაა,**
**ჩვენი თავდაცვის ფონდი!**



თავდადებული შრომა სსრ კავშირის თავდაცვითი ძლიერების დასაყრდენია

## ხევსური ტანკისტი

### ალ. აბაშელი

ჩრდილი წვებოდა მიწაზე,
ცა ანათებდა დარულად.
მტრის შენიღბული მუხლუხა
გზას მიიკვლევდა ფარულად.
ცნობა მოვიდა: „ენ—ტყეში
მტრის ტანკი შემოპარულა!“

— აჰა, უშიშავ ხევსურო,
ხარი ხარ მიწის მჩხვერავი,
ფოლადის ცხენზე შაჯდები,
წინ დაგიდგება ვერავინ.
წადი, გველივით მოსრისე
მტრის უწმინდური მზვერავი!

წამოხტა გახარებული,
ან-კი რა ხვეწნა სჭიროდა!
მღეროდა გული ვაჟკაცის,
განა დიაცებრ ტიროდა!
მიუხაროდა საომრად,
ვით ჯიხვზე სანადიროდა.

ტყისპირი შემოიარა,
მტერი მოჩხრიკა, მონახა
დასჭყივლა: „ვერ შაგიბრალებ,
რადგან ფაშიზმის მონა ხარ!“
ტანკი მიაგდო ტანკზედა,
მტერი მოთელა, მონაყა.

## როცა ვიგონებთ მამაც გასტელოს

### გრიგოლ ცეცხლაძე

პატრიოტული გვხიბლავს ღირსება,
როცა ვიგონებთ მამაც გასტელოს.
და გვწამს, რომ მტერი ვერ ეღირსება
ჩვენი სამშობლო ფეხქვეშ გასთელოს.

შევარდნის გუნდებს შეჰხარის თვალი,
იცავენ მშობელ მთებსა და მდელოს;
გაიძახიან: ჩვენც გვადევს ვალი,
რომ არ ჩამოვრჩეთ მამაც გასტელოს.

გმირ მებრძოლების სიტყვა მედგარი
ფიცით მიჰმართავს მამაც გასტელოს, —
დასცეს ფაშიზმი, ის საზიზღარი,
ევროპის წყლული კვლავ გაამრთელოს.

სამშობლოსათვის! სტალინისათვის!
ყველას ჰსურს თავი რომ ისახელოს.
ყველა სიმძიმე მსუბუქობს მათთვის,
ემსგავსებიან მამაც გასტელოს.

პატრიოტული გვხიბლავს ღირსება,
როცა ვიგონებთ მამაც გასტელოს,
და გვწამს, რომ მტერი ვერ ეღირსება
ჩვენი სამშობლო ფეხქვეშ გასთელოს.

## ქართველ ცხენოსანს

### ლადო ასათიანი

ამხედრებულო ვაჟკაცო, წვერ-ულვაში რომ გიხდება,
როცა გულხარბი მტარვალი ხმალდახმალ გადმოგიხტება,
ასჩეხე, სანამდისინაც მარჯვენა გადაგიწყდება.
გახსოვდეს, რომ ხარ ვაჟკაცი, ნურასდროს დაგავიწყდება.
გახსოვდეს წინ მიგიძღვება სტალინი — ქვეყნის დიდება,
რომლის შუქურა-ვარსკვლავი არასდროს დაიბინდება.
გახსოვდეს ლამპიონებით განათებული ასპინძა: —
მამულისათვის ქართველი მტერს როგორ გაუმასპინძლდა.
გალაღებული თეთრონით გადაერიე ლაშქარში,
რომ დუშმანთ თავ-ბრუ დაესხას შენი ფრანგულის კაშკაშით.
დღეს ყველა, ვისაც მკლავს ერჩის, ვოროშილოვის ჯარშია,
რუს სახელოვან ვაჟკაცებს ამაუდექი მხარშია.
მოსკოვს და ტფილის ქალაქსა წინ აღემართე ფარადა,
დასჭექე, დააგუგუნე მამაპაპური „ვარადა“.
შენ, უშიშარო ვაჟკაცო, წვერულვაში რომ გიხდება,
როცა გულხარბი მტარვალი ხმალდახმალ გადმოგიხტება,
ასჩეხე, სანამდისინაც მარჯვენა გადაგიწყდება,
სტალინის არმიისა ხარ, ნურასდროს დაგავიწყდება.



მოსკოვის სახალხო მოლაშქრეთა ერთ-ერთი რაზმი მეცადინეობაზე.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

## რას გვიქადის ფაშიზმი

### კონსტანტინე გამსახურდია

გერმანულმა ფაშიზმმა ევროპის კონტინენტის ერებს რკინის უღელი დაადგა. მან გადათქერა საფრანგეთის ხალხი — უწარჩინებულესი კულტურის შემქმნელი, გასრისა ბელგია, ჰოლანდია და ნორვეგია.

თავისუფლება წარსტაცა სამხრეთსლავებს, რომელთაც მრავალი საუკუნის ბრძოლით თავი გაინთავისუფლეს ოტომანის იმპერიის მონობისა და ჰაბსბურგების მეურვეობისაგან.

ასეთივე ხვედრი არგუნეს მაღალნიჭიერ ჩეხოსლოვაკების ერს, რომელსაც უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი მსოფლიო კულტურაში.

ცნობილია, თუ როგორი საშინელი დევნა განიცადეს პოზნანის საჰერცოგოს პოლონელებმა პრუსიული ფელდფებელის მათრახისაგან.

ჯერ კიდევ ბისმარკმა გამოსცა ცნობილი აგრარული კანონი, რომლის ძალით პოლონელს აღკვეთილი ჰქონდა სახლის ბალავარის ჩაყრა მემკვიდრეობის ძალით მიღებულ მიწაზე.

მაშინ ერთმა გონებამახვილმა პოლონელმა გლეხმა ააგო ოთხბორბლიანი საგორავი, დიდი ფურგუნის დარი, და ზედ დააშენა სახლი. თავის ეზოს ერთი კუთხიდან მეორეში დააგორებდა ამ „სახლს“ და ასე ეწეოდა მეურნეობას.

ასეთსავე დევნას განიცდიდნენ ჯერ კიდევ ვილჰელმ მეორის დროს შლეზვიგ-ჰოლშტაინის დანიელები და ელზასელები.

ჰოჰენცოლლერებისა და ბისმარკის კაციჭამია პოლიტიკა ბალღური თამაშია იმ გაუგონარ დევნასთან შედარებით, რომელსაც განიცდიან დღეს „არაარიელი“ ერები როგორც გერმანიის იმპერიაში, ისე ფაშისტების მიერ ოკუპირებულ სახელმწიფოებში

მიცკევიჩის, სენკევიჩის და შოპენის სამშობლოს სახელი ამოშალეს გეოგრაფიულ რუკიდან და „აღმოსავლეთის საგუბერნატორო“ დააწესეს, არაადამიანური წამება არგუნეს როგორც პოლონელებს, ისე მრავალტანჯულ ებრაელ ერს.

გესმის ეს ამბები და გულარეული იცქირები საშუალო საუკუნის ბნელეთისაკენ, იგონებ ინკვიზიციისა და „კუდიანთა“ პროცესების სამარცხვინო ეპოქას, რომის პაპების ოქროს ბულლებს, ტრიერისა და მაინცის გერმანელი ეპისკოპოსების ედიქტებს, რომელთა ძალით კოცონებზე სწვავდნენ კუდიანობაში „შენიშნულ“ ებრაელებს, მდინარეებში ახრჩობდნენ ებრაელ დედაკაცებს, ვითომდა „ეშმაკეულის გამოსაფერთხად“, ყოვლად სამარცხვინო „ჭინკების კანონებს“, ქრისტიანული ობსკურანტიზმის და შავი მაგიის ბნელ ამბებს.

და ეს საზარელი და სამარცხვინო ამბები ხდება ემანუელ კანტის ქვეყანაში. არავის ესმის მის მიერ წარმოთქმული: „ჩემს ზევით ვარსკვლავებით მოჭედილი ცარგვალი, ხოლო მორალური კანონი ჩემში“. არც ჰერდერის ჰუმანური კონცეპცია და მაღალი სწავლა კაცობრიული ტომების თანასწორობისა და ერთიანობისათვის.

გაველურებულმა ფაშისტურმა ბანდამ ამას დაუპირისპირა ბალღური ჩმახვა „არიულ“ და „არაარიულ ერების“ გამო, რათა გაამართლოს თავისი კაციჭამია პოლიტიკა, „არაარიულ“ მოდგმის ეროვნებათა დამონების და განადგურების პოლიტიკა.

ეს ამბები თეორიულად „საბუთდება“, და მათი სამარცხვინო პრაქტიკა ხდება დღისით, მზისით გოეტეს ქვეყანაში. იმ ქვეყანაში, სადაც დიდი კოსმოპოლიტი და მსოფლიო კაცი გოეტე უმღეროდა იმ დროს, როცა „აღმოსავლეთი და დასავლეთი ძმურად ხელს გაუწვდიან ურთიერთს“.

ფაშიზმის ველური ურდოები ავტომატური რევოლვერებით, ტანკებით, ჰაუბიცებით და ნაირნაირი ფუგასური ბომბებით, უმასპინძლდებიან „არაარიელების“ მუზეუმებს, უნივერსიტეტებს, მოხუცებსა და ბალღებს.

ამ სამარცხვინო და სავალალო ველურობის წინააღმდეგ აღსდგნენ მთელი საბჭოეთის მკვიდრნი.

შეუძლებელი აღმოჩნდა ჩვენი გადათქერა; ვილჰელმშტრასეს ჯალათი პოლიტიკოსები მწარედ მოსტყუვდნენ. ჩვენი ქვეყნის მიერ აღმართულ ფოლადის ზღუდეებს შეეხალა ოკუპანტების ხიშტი და ყუმბარა. ძვირად დაუჯდათ მათ ეს დღემდის და მომავალში უფრო მეტად დაუჯდებათ.

და ეს იმიტომ, რომ საბჭოეთის ერებმა 24 წლის მანძილზე ისწავლეს არამარტო მტერ-მოყვარის გარჩევა, არამედ ფოლადის დნობა, ტანკების, ყუმბარმშენების შენებაც იმ დიდი მონაპოვრის დასაცავად, რომელიც მიანიჭა ხალხებს ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ.

გერმანელ ფაშისტებს სწადიათ მთელი ევროპის, მთელი ქვეყნის უნიფიცირება, ყველა არა გერმანელის გაგერმანელება, ერთი დიდი გრამოფონისა და ასეთივე დიდი სახრჩობელას მოწყობა ბერლინში. ამ გრამოფონის მხოლოდ ფირფიტები უნდა იყვნენ ოდნავ სხვანაირნი.

ეს ამბავი არახალია, ძველია.

რომანოვებსაც იგივე ეწადათ, ყველა ერისთვის ერთნაირი მუნდირის ჩაცმა, ყველასათვის ერთი და იგივე ყაზარმა ჰქონდათ აგებული, ერთნაირი ციხე და ეკლესია.

სწორედ ამიტომ ამოვარდა ოქტომბრის რევოლუციის ქარიშხალი და წალეკა ბნელეთის მეურვენი.

უახლოესი საუკუნეების საუკეთესო ადამიანები, მთელი პროგრესიული კაცობრიობა მიისწრაფოდა ხალხთა დამოუკიდებლობისაკენ. ამიტომაც დაამგრიეს ესპანური დიდი სამეფო, ნაპოლეონის დიდი იმპერია, ოტომანთა სასულთანო, ჰაბსბურგების უზარმაზარი სახელმწიფო და რომანოვების ბნელი ყაზარმა.

გადახედეთ საბჭოთა კავშირის რუკას. ოქტომბერმა სახელმწიფოური უფლებები მოუპოვა არა მარტო ისეთ ისტორიულ, დიდი კულტურის ერებს, როგორიც არიან უკრაინა, საქართველო, სომხეთი და სხვა. ძველი რუსეთის ბნელი საგუბერნატოროებიდან შეიქმნა ნაციონალური რესპუბლიკები ისეთი ტომებისათვისაც, რომელთაც არც ნაციონალური სახელმწიფოების ტრადიციები ჰქონდათ, არც ფიქსირებული კულტურა, არც ალფაბეტი. ამ ერებს მიეცა საშუალება საკუთარი, ეროვნული კულტურის, ლიტერატურის, თეატრის, მუსიკისა და მხატვრობის დაფუძნებისა. ეს არის გზა ნამდვილი კაცობრიული პროგრესისა, გზა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისა.

ჩვენი და ჩვენზე ადრინდელი თაობების საუკეთესო სისხლი და ენერგია დაიხარჯა იმისათვის, რომ ჩვენი საბჭოური რესპუბლიკების სახელები წარუშლელი დარჩეს მსოფლიოს ახალ რუკაზე, არა მარტო სახელები, სახელმწიფოები, სტალინური კონსტიტუციის გარანტიებით შედუღაბებულნი.

ეს რესპუბლიკები და მათი ნაციონალური კულტურები ამშვენებენ იმ სხივმოსილ კალეიდოსკოპს, რომელსაც კაცობრიული კულტურა ეწოდება.

საბჭოთა კავშირში ჩვენ გვაქვს სტალინური პრინციპი, რომლის მიხედვით ყოველი ჩვენი რესპუბლიკა თანასწორია თანასწორთა შორის. ხოლო რაც შეეხება „მეორეხარისხოვან რასსებისათვის“ მოჩმახულ მეორეხარისხოვან სახელმწიფოებს, ამ „თავაზიანობის“ გამო, ფაშისტები საკადრის პასუხს ღებულობენ ჩვენი წითელი არმიის სნაიპერებისა და არტილერისტებისაგან.

ოქტომბრის რევოლუცია ჩვენი მამებისა და ძმების სისხლითაა მომხდარი. და მისი მონაპოვარის დაცვა სისხლისმიერი საქმეა ჩვენი თაობისა.

კერძოდ, ქართველი ხალხისათვისაც ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის სავსებით უცხოა რასსიული თეორიები და მათი პრაქტიკა.

პირველი საუკუნიდან ცხოვრობენ ჩვენს ქვეყანაში ებრაელები, ქართველ ხალხთან ერთად ეწეოდნენ შრომის უღელს. აროდეს გაგონილა მათი შევიწროება საქართველოში.

ძველი და შეურყეველია ჩვენი მეგობრობა რუსის ხალხის მიმართ, რუსებმა დაუვიწყარი თანადგომა გამოიჩინეს ჩვენდამი, ირანისა და ოტომანთა იმპერიების მტაცებლურ თავდასხმებისას.

ხალხთა მეგობრობა გვაძლევს ჩვენ ენტუზიაზმს ვიშრომოთ იმ დიადი ეროვნებათა თანაძმობის დასაცავად, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწოდება.

ფაშისტი აგრესორების მიერ გამოწვდილი სისხლიანი ხელები მოკვეთილი იქნება ჩვენი წითელი არმიის მიერ.

აი ამისთვის იბრძვის ჩვენი ქვეყანა და გამარჯვება ჩვენი იქნება უთუოდ, რადგან სიმართლეა ჩვენი შეუვალი ციხე-ქალაქი.

**აქ ხომ ყველა ერთად შველის**
**სამამულო ბრძოლას დიადს,**
**მტრის ზურგში კი ბრძოლის ცეცხლი**
**პარტიზანებს აუნთიათ!**

ვაჟა-ფშაველას დაბადების 80 წლისთავი

# ვაჟკაცობისა და გმირობის პოეზია

ბესო ჟღენტი

დიადი სამამულო ომის მრისხანე დღეებში შესრულდა დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას დაბადების 80 წლისთავი. უძლეველი საბჭოთა ხალხის უმაგალითო პატრიოტული აღფრთოვანებისა და თავდადებული ბრძოლის ამ დიად ისტორიულ წუთებში კიდევ მეტი ძალა და ცხოველყოფელობა ეძლევა ვაჟა-ფშაველას გმირულ პოეზიას, რომელიც მთლიანად გამსჭვალულია სამშობლოსადმი სიყვარულის უწმინდესი გრძნობით, ვაჟკაცობისა და რაინდული თავგანწირულების, მებრძოლი ოპტიმიზმის, საშიშროების წინაშე ქედ-უხრელობის სულისკვეთებით.

ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად ათეული წლების მანძილზე ვაჟა-ფშაველა აწრთობდა ქართველი ხალხის აზრსა და გულს დედა სამშობლოსადმი განუსაზღვრელი ერთგულებისა და სიყვარულის, მამულის ღირსებისა და თავისუფლებისათვის სახელოვანი თავგანწირვის იმ მაღალი გრძნობით, რომელიც ეხლა საბჭოთა ხალხის საყოველთაო თვისებად არის ქცეული და რომლითაც აღჭურვილი დევგმირი მეომრები ჩვენი ქვეყნისა განცვიფრებასა და აღტაცებას გვრიან მთელ მოწინავე კაცობრიობას.

ვაჟას მთელი შემოქმედების უპირველეს მამოძრავებელ ძალას მგზნებარე პატრიოტული გრძნობა შეადგენს:

„ხარს ვგევარ ნაიალალარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე
მძინარიც ამას ვდუდუნებ“.

ამბობდა პოეტი და ამ სიტყვებში [illegible]

[illegible]

ერონული მონობის ბრჭყალებში მოქცეული ხალხი გაუტეხელი ნებისყოფით გაიძახოდა:

„ვერ მომკლავ ჟამო ბედკრულო,
ხელში მიპყრია დანაო,
თუ გავტყდე, შჯამად შემერგოს
დედის ძუძუ და ნანაო“.

ვერაგი მტრის წინაშე მებრძოლ ქედუხრელობას, საკუთარი ძალებისადმი რწმენას, გამარჯვების იმედს უნერგავდა ვაჟა-ფშაველა ხალხს:

„გულო გაკლდევდი, გამაგრდი,
ნისლი ნუ გადაგეფარა,
თუ აქამომდე გავძელით,
მტერი დღეს გაგვტეხს ველარა“.

მონობისა და ჩაგვრის შავ-ბნელ დროში პოეტი ნათლად ხედავდა მშობელი ქვეყნის აღორძინების, სიმართლისა და თავისუფლების მაღალი იდეალების გამარჯვების პერსპექტივას. იგი პოულობდა მგზნებარე და ცხოველმყოფელ სიტყვებს, ჯადოსნური



[illegible]

გარი და რაინდული პოეტური სიტყვის შემოქმედების ძალა შორს გასცილდა პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის

[illegible]

მენტში. ასეთი პოეზია არ კვდება და არ ჩლუნგდება. იგი ხალხის უსაყვარლესი და უძვირფასესი კუთვნილებაა.

# არწივის ბრძოლა *)

ვაჟა-ფშაველა

დასდევნებიყო მდევრადა
წეროთა გადმამავალთა
მარტოდ-მარტოკა არწივი
გამწკრივებულთა, მრავალთა,
სწყენოდა იმათ ნავარდი,
გზას უკეტავდა სავალთა.

საით სად მოთრეულები
ზეიმითა და ზარითა
სთელავდნენ მის სამფლობელოს,
მთებს, მოყოლებით ბარითა,

და არც-კი ჰკითხეს პატრონსა
სიტყვითა შესაწყნარითა.

„უყურე უჯიშოებსა!“
შფოთავს ბურვილი ალითა:
„მე ალარაფერს მკითხავენ,
არიან თავის ძალითა.
მე მითომ ალარც-კი ვიყო,
და ჩემის მიწა-წყალითა
ჰსურთ იქეიფონ და მე-კი
მაცქერინებდენ თვალითა?!
მოკვდი, არწივო, მაშინა,
გათავდი თავის ბრჯღალითა!“

ამას ამბობდა, თან მკერდი
მისდ-მოსდიოდა განზედა,
ამონადუღი გულისა

სეტყვად სცვიოდა თავზედა...
არწივის რჩოლა და ქროლვა
მეხად ტყვრებოდა ცაზედა.
შურისძიების შედეგსა
ვხედავდი ქვეყანაზედა:

დაბლა მიწაზე ვხვდებოდი
თავ-პირ დაჩეხილ წეროთა,
ზოგი გზა-გზის პირს ეყარა,
ზოგი გართხმულა მდელოთა.
თავათ ცაშია თამაშობს,
მიმოუქროდა სფეროთა.
კოტრიალობდა ცის მკერდზე,
ყაშყაშებს... დიალ, მღეროდა...
საამო თუა, მტრის ცემით
რო გული მოვიჯეროთა?!

1 აპრილი, 1910 წ.

*) ეს ლექსი, რომელიც პირველად იბეჭდება, შენახულია ხელნაწერის სახით სახელმწიფო მუზეუმის პალეოგრაფიულ განყოფილების ფონდში № 5318. ლექსი გადმოგვცა ა. აბაშელმა. რედ.

# წიგნები ფაშისტური ბარბაროსობის შესახებ

უკანასკნელი თვეების განმავლობაში საზღვარგარეთ მრავალი წიგნი გამოვიდა იმის შესახებ, თუ რა ხდება ფაშისტური გერმანიის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში. ამ წიგნებს შორის აღსანიშნავი არიან:

## „ფაშისტურ ზურგში“

მიხაკისფერმა ჰირმა—სწერს ჯ. რალეი ამ სათაურით გამოსულ წიგნში,— გააპარტახა და გაანადგურა მთელი დასავლეთ ევროპაო. ავტორი მოგვითხრობს გერმანელი ხალხის იმ უხმო, ჩუმი ტანჯვის შესახებ, რომელსაც იგი განიცდის ფაშისტური ბანდის საშინელ კლანჭებში. მკითხველის წინ დგება გესტაპოს საშინელება, ის წამება და დაცინვა, რომელიც თავს დაატყდათ პოლიტიკურ პატიმრებს და საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულებს, რასული კანონების მოქმედება, რამაც გერმანიისა და ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრება წყვდიადით მოცულ სისხლიან ჯოჯოხეთად გადააქცია. რალეის მოუვლია ჩეხოსლოვაკია და პოლონეთი მას შემდეგ, რაც იქ ახალი ფაშისტური „წესრიგი“ დამყარდა. მე ვნახეო, — სწერს იგი,— ტანჯვით დამანჭული სახე დედებისა, რომლებიც დაჰკვითინებენ საპატიმროებში ნაწამებ შვილებს, ვნახეო წარმოუდგენელი შიმშილი და სილატაკე ხალხისა, რომლისთვისაც წაურთმევიათ ადამიანური ცხოვრების უფლება, მაგრამ ვერსად ვერ შევხვდი მორჩილებას და ოდნავი პატივისცემის ნიშანწყალს ჰიტლერის ყაჩაღებისადმი, რომლებიც უძლურნი აღმოჩნდნენ მოედრიკათ ხალხის ნებისყოფა და მისი მისწრაფება თავისუფლებისაკენ.

## „ჯაგერნაუტის ეტლი ჰოლანდიაზე“

ფრიად საინტერესოა ჰოლანდიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ვან კლეფენსის წიგნი „ჯაგერნაუტის ეტლი ჰოლანდიაზე“, რომელიც შეიცავს ყოველდღიურ ჩანაწერებს, დაწყებულს ჰოლანდიის ოკუპაციის დღიდან, ვიდრე ფაშისტური „ახალი წესრიგის“ დამყარებამდე. ვან კლეფენსის დღიური დოკუმენტურად ამათილებს გებელსის და მისი დამქაშების ბაჯღაბნს იმის შესახებ, თითქოს გერმანიას ჰოლანდია მშვიდობიანი გზით დაეპყროს. ავტორი მოგვითხრობს დაუცველი ჰოლანდიელი ქალაქების საშინელი ბომბარდირებისა და იმის შესახებ, თუ რა დაუნდობელი გულგრილობით ხვრეტდნენ ფაშისტური თვითმფრინავები გზაზე მიმავალ ლტოლვილებს, თუ რა ვერაგულად ესხმოდნენ თავს ფაშისტი დივერსანტები მოსახლეობას. ჰოლანდიელი მღვდლების და გლეხ-ქალების ტანსაცმელში გადაცმული დივერსანტები ხოცდნენ ყველას, უმწეო ბავშვებს და ღრმა მოხუცებსაც კი.

## „რკინის ქუსლქვეშ“

ამ სათაურით ნიუ-იორკში გამოვიდა ანტვერპენიდან გამოქცეული ფოტო-ოსტატის ლარს მოენის წიგნი. ლარს მოენი გადმოგვცემს, თუ როგორ გადააქციეს ფაშისტებმა ბელგიის მშვიდობიანი მოსახლეობა ნამდვილ მონებად, როგორ ეზიდებოდნენ ფაშისტი ყაჩაღები ბელგიიდან სურსათის მთელ მარაგს, როგორ გასწირეს მათ მთელი ბელგიელი ხალხი შიმშილით ამოხოცვაზე, თუ რა დაუნდობლად ასამართლებს და სიკვდილს უსჯის გერმანული სამხედრო-საველე სასამართლო სრულიად უდანაშაულო გლეხებსა და ქალაქელებს, როგორ დახვრიტეს ერთი გერმანელი ჯარისკაცის მოკვლისათვის ათობით მშვიდობიანი მცხოვრები, მათ შორის, ქალები და ბავშვები.

# დაჭრილი მოლაშქრე

სიმონ წვერავა

პოლკის შტაბი ტყეში იყო მოთავსებული. მტრის იერიშების გამო დიმიტრიმ სამმაგად გააძლიერა შტაბის დაცვა. მაღალი და წითელი სახის ჭაბუკი, ლეიტენანტი ორლოვი, მზვერავებთან ერთად სათვალთვალო პოსტებს უტრიალებდა. მოულოდნელად ყუმბარმშენების გუგუნი მოისმა. სადღაც ქვემეხების გრუხუნი ატყდა. ორლოვი წელში გასწორდა. დურბინდი ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ გაიშვირა. ბოლოს მზვერავებს რაღაც ანიშნა და პურის ყანაში სადაზვერო ტყვიამფრქვევს მიუჯდა. საზენიტო ბატარეის ცეცხლის რკალში შემოჭრილი თვითმფრინავი შუბური ფრენით შტაბის ზევით მოექცა, მაგრამ სიზუსტე მაინც ვერ დაიცვა. ერთი ყუმბარა ტბაში ჩავარდა, მეორე ტყეში, მესამემ ნაპრალში უზარმაზარი ორმო გათხარა. ორლოვმა ტყვიამფრქვევი აამოქმედა.

პოლკოვნიკმა დიმიტრი ბარამიძემ თავისი თვალით დაინახა ცეცხლმოკიდებული „მესერშმიდტი“. გახარებულ დიმიტრის ღიმილი უეცრად მრისხანე გამომეტყველებით შეეცვალა.

—შეტევაზე გადმოდიან, ორლოვ!— მტკიცე ხმით სთქვა დიმიტრიმ.

ტელეფონმა ზედიზედ დაიწკრიალა.

— ალო, ალო! რაო? გისმენთ, ამხანაგო დივიზიის უფროსო! გაცნობებთ, რომ ჩემმა ლეიტენანტმა შტაბის თავზე ერთი ყუმბარმშენი ჩამოაგდო, დიახ, დიახ, ააა!

დიმიტრის სახეზე სისხლი მოაწვა. თავი უკმაყოფილოდ ჩაიქნია. ადიუტანტებმა შენიშნეს ეს და სმენად გადაიქცნენ.

— მტერი ტყეს ეფარება, მდინარეზე გადმოსვლას აპირებს, დაარტყით კომბინირებული წესით, შესრულება მომახსენეთ, — არის ამხანაგო დივიზიის უფროსო!

პოლკოვნიკი რუკას დაეყრდნო. მდინარის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე დროშები დაასო. წითელი ფანქრით მძიმედ მოხაზა წერტილი, მერე ისარი გაავლო და ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ ისევ ტელეფონს მისწვდა.

საავიაციო, სატანკო და საარტილერიო დანაყოფების უფროსებს განკარგულება მისცა — მჭიდრო კავშირი იქონიონ შეტევაზე გადასასვლელ ქვეითა ასეულებთან.

ამ დროს მზვერავებმა მტრის ჯარის შეტევაზე გადასვლის ცნობა მოიტანეს. დიმიტრი მღელვარებამ შეიპყრო.

— ორლოვ, ხედავ მტერი მოტყუებას გვიპირებს. კაპიტანი საველიოვი ვერ მიმხვდარა, რომ გერმანელები მარცხენა ფრთაზე მოჩვენებითს ბრძოლას აწარმოებენ. ნამდვილად კი მთავარ ძალებს მარჯვენა ფრთაზე უყრიან თავს, რათა საფლანგო დარტყმით გაარღვიონ ჩვენი პოზიციები. მარჯვენა ფრთა სდუმს. ორლოვ, სდუმს კაპიტანი საველიოვი!

პოლკოვნიკი ისევ ტელეფონთან არის.

— საველიოვ... საველიოვ, მტერი მარჯვნიდან... ალო!... ალო!... საველი...ოვ...ალო!

დიმიტრი ორლოვს შეუბრუნდა.

— ხაზი გადასჭრეს მაგ სისხლისმსმელებმა, აღადგინეთ დაუყოვნებლივ!

ლეიტენანტი ორლოვი ხუთი მეკავშირის თანხლებით ფრონტისაკენ გაემართა.

შორს, სადღაც გამანადგურებელთა გრიალს მძიმე ქვემეხთა გრუხუნი შეუერთდა.

დიმიტრი სიამოვნებით უსმენდა ტყვიამფრქვევთა კაკანს.

* * *

გელამ დაიყეფა. მთვარის შუქზე გელას წინ წითელარმიელის ფორმაში გამოწყობილი კაცი გამოჩნდა. უცნობს ხელში გადაჭრილი მავთულის ბოლო და მაკრატელი ეჭირა. დარომ თოფი გულზე მიაბჯინა.

— არ მესროლოთ, თქვენი ვარ!— მოესმა დაროს რუსული სიტყვები, მაგრამ გოგონა არ დაიბნა: — ხელები ზევით!

— ჩვენი ტყვე ხარ, საზიზღარო!— შესძახა მარჩენკომ და როცა მანაც თოფი მიუშვირა, დარომ დივერსანტს ხელიდან მავთული გამოგლიჯა.

მახლობელ ბუჩქებიდან თოფის ხმა მოისმა. დაჭრილი დარო ძირს დაეცა. ქალმა ღონე მოიკრიბა, გადაჭრილი მავთული ერთმანეთს გადააბა და ხაზი კვლავ აღადგინა.

მარჩენკო შეფიქრიანდა, — ვაი თუ დრო იხელთოს დივერსანტმა და გამექცესო. სწორედ ამ დროს ბუჩქებიდან სეტყვასავით წამოვიდა ტყვია.

დარომ ხელყუმბარა ესროლა მათ.

— მახლობელ ტყეს მიაშურე, ტარას, იქ ჩვენები იქნებიან!

— შენ დაჭრილი დაგტოვო აქ და გაგშორდე? არა, არა, ამას ვერ ვიზამ, ჩემს გულს რა უთხრა მაშინ, ჩემს გულს?

— გულსაც ის უთხარი, რასაც მე გეუბნები, წადი, მოგვეშველებიან! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა დარო.

ცოტა მანძილის გავლის შემდეგ მარჩენკოს ორლოვის რაზმი შემოხვდა. ტარასიმ ლეიტენანტს ყველაფერი უამბო. ორლოვმა სასწრაფოდ შემოარტყა ალყა ბუჩქებს. გაცხარებული ბრძოლის შემდეგ დილის სინათლეზე თხუთმეტი გერმანელის გვამი ბუჩქებში ეგდო. სამი დივერსანტი ცოცხლად ჩაიგდეს ხელში.

ტარას მარჩენკო დაროს მივარდა. ორლოვმა საველე ჩანთა გახსნა და ჭრილობა შეუხვია.

ორლოვმა ორ წითელარმიელს და ტარას მარჩენკოს გაატანა დარო საველე ლაზარეთში.

შტაბში მისულ ლეიტენანტ ორლოვს პოლკოვნიკის ხმა მოესმა:

— ამხანაგო დივიზიის უფროსო, გაცნობებთ, რომ თქვენი დავალება შესრულებულია. უამრავმა მტერმა საფლავი მდინარის ფსკერზე ჰპოვა. ნადავლს ვაზუსტებთ!

ამ დროს ლეიტენანტი ორლოვი პოლკოვნიკ ბარამიძეს წარუდგა წინ და მოახსენა:

— საველე ტელეფონის ხაზის გადამჭრელი დივერსანტი ორმა ახალგაზრდა სახალხო მოლაშქრემ შეიპყრო. დაჭრილმა გოგონამ ჩვენს მისვლამდე მავთული გადააბა. მოვკალით თხუთმეტი დივერსანტი, ტყვედ წამოვიყვანეთ სამი. დაჭრილი გოგონა, მისი ამხანაგი და მაღლი, რომელიც დაჭრილს არ შორდებოდა, საველე ლაზარეთში გავგზავნეთ. დივერსანტებს აღმოაჩნდათ ჯოჯოხეთის მანქანა, რადიო-აპარატი და მაკრატლები. აი დაჭრილი გოგონას მოწმობა და სურათი.

დიმიტრიმ გაკვეცილი მოწმობა გაშალა. სურათს დააცქერდა და შემკრთალი ხმით წამოიძახა.

— ორლოვ! ორლოვ! ეს ჩემი გოგონაა, დარიკო. არ დამიჯერა, მაინც წამოვიდა... ორლოვ, ჭრილობა როგორი აქვს? მაჩვენე ჩემი გოგონა!

ათი წუთის შემდეგ საველე ლაზარეთს მსუბუქი მანქანა მიადგა.

პოლკოვნიკი აღელვებული შევარდა ლაზარეთში, დაროსთან მივიდა, ზეწარი გადასწია და შუბლზე აკოცა.

— ჩემო პაწია გოგონავ! ჩემო სიამაყევ!

დარომ თვალი გაახილა:

— მამი.. მაპატიე!..

— ამხანაგო პოლკოვნიკო — მიმართა დიმიტრის ლეიტენანტმა ორლოვმა, — წარვადგინოთ ჯილდოზე გოგონა, დღევანდელი გამარჯვების მიზეზი ეს არის...

# როგორ თითხნის გებელსი ყალბ კინოდოკუმენტებს

ჭეშმარიტად სახელგანთქმული ცრუპენტელა იყო ბარონ მიუნჰაუზენი! ეს ბარონი ცრუობდა თავშეუკავებლად, შთაგონებით, რისთვისაც იგი მიაკუთვნეს კლასიკური ლიტერატურული ტიპების რიგს. მაგრამ რა ჰქნას ახლა საბრალო ბებერმა ბარონმა, როცა სცენაზე გამოჩნდა ცრუპენტელობის ასეთი სპეციალისტი, როგორიც არის ტყუილმეისტერი გებელსი! ბარონ მიუნჰაუზენის ძველებური გულუბრყვილო ტყუილები ბავშვის ტიტინია ცრუპენტელობის დღევანდელი მეფის აღვირახსნილი ფანტაზიის ნაწარმოებებთან შედარებით.

მაგრამ დახეთ უბედურებას: რა ტრიუკებიც არ უნდა მოიგონოს გებელსმა, ისინი ყოველთვის მათი ავტორის შერცხვენით თავდებიან. საბრალოს ბედი აშკარად არა სწყალობს: შეთხზავს თუ არა ყალბ დოკუმენტებს, მაშინვე იჭერენ სიყალბეში; გამოათრევს გესტაპოს არქივიდან მოკლულთა ფოტო-სურათებს და შეეცდება თუ არა მათ გასაღებას „ბოლშევიკების მხეცობის“ მამხილებელ დოკუმენტებად, მაშინვე მაგრა დაარტყამენ ყალბისმქნელ ხელებზე. უბადრუკად და საცოდავად მუშაობს ფაშისტური პროპაგანდის ეს უდღეური მოღვაწე.

ახლახან ბატონმა გებელსმა ახალი ტრიუკი მოიგონა. გადასწყვიტა მსოფლიოს გაოცება სენსაციური კინოფილმით. ჭეშმარიტად საცდუნებელი რამ არის — აჩვენო ეკრანზე, თუ როგორ მიესალმებიან გულაჩუყებული კოლმეურნეები ფიურერის მოიერიშეებს! მაგრამ რა უნდა ჰქნას, როცა უმადურ კოლმეურნეებს სურვილი არა აქვთ ლოკონ ფაშისტი ოფიცრების ჩექმები, — პირიქით, მზადყოფნასაც ამჟღავნებენ გაანადგურონ დაუპატიჟებელი სტუმრები?

მაგრამ გებელსის მოხერხებული „ყოჩაღი“ ბიჭები ასეთ მდგომარეობაშიც პოულობენ გამოსავალს: არა სურთ უკრაინელ გლეხებს მიესალმონ ფაშისტებს? კეთილი და პატიოსანი, — მათ როლს სტატისტები შეასრულებენ. და აი უკრაინულ სოფელ კ-ში დაიწყო მზადება გრანდიოზული ინსცენირებისათვის. მოაქროლეს ყვავილებით გავსებული საბარგო მანქანა, მალე მოვარდა კინო-ოპერატორებით და ფოტო-რეპორტიორებით გაჭედილი მეორე საბარგო მანქანაც. კინოოპერატორებმა თან მოიყვანეს ნეტარხსენებული პეტლიურელების უკანასკნელი მოდის მიხედვით განიერ შარვლებსა და მოქარგულ ხალათებში გამოწყობილი ყაჩაღი ფაშისტი ყმაწვილკაცები. ეს „პეიზანები“ მარშით მიმოდიოდნენ გაძარცულ-დარბეული კოლმეურნეობის ქუჩებზე, მიმოაბიჯებდნენ ისე, თითქოს სარები გადაეყლაპოთ. რამდენიმე კილომეტრის მანძილიდან შეგეძლოთ გამოგეცნოთ მათში კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცები, მით უფრო, რომ ეს „უკრაინელები“ ურთიერთთან წმინდა ბერლინურ კილოკავზე ლაპარაკობდნენ.

მაგრამ რომელი ბრიყვი და ჩერჩეტი დაუჯერებს ბატონ გებელსს, რომ უკრაინულ სოფელში სცხოვრობენ მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცები? მეტი ცხოველმყოფელობისა და მხატვრულობისათვის საჭირო იყო პეიზაჟი შევსებულიყო სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული ქალიშვილებით, დიასახლისებით და ბავშვებით. და აი ფაშისტმა ჯარისკაცებმა აქა-იქ სადღაც დიდის გაჭირვებით მოსძებნეს ქალები და ბავშვები, რომლებსაც ვერ მოესწროთ პარტიზანებთან ერთად ტყეში გახიზვნა, და ვაი-ვაგლახით მოათრიეს კოლმეურნეობის მოედანზე.

ფაშისტმა ოფიცერმა, რომელსაც უნდა შეესრულებინა უჩვეულო საქმე — კინო-რეჟისორის ფუნქცია, განუმარტა ნამტირალევ ქალებსა და ბავშვებს:

— ეს არის ყვავილები. ეს ყვავილები უნდა ესროლოთ ტანკებსა და მანქანებს, რომლებითაც ჩვენი ჯარისკაცები მოვლენ.

და ზედმეტი სიტყვები რომ არ დაეხარჯა, ოფიცერმა თვალსაჩინოდ დაანახა მათ ღობეს იქით მიმალული ტყვიამფრქვევი, რომელსაც გვერდით ეწვა სროლისათვის გამზადებული ჯარისკაცი. ქალებსა და ბავშვებს დაურიგეს ყვავილები, და მალე სოფელში გრუხუნით შემოგრიალდნენ ტანკები, ტანკებს მოჰყვა მოტო-მექანიზებული ქვეითი ჯარი. გაისმა ოფიცრის მჭექარე ხმა:

— ესროლეთ ყვავილები!

დაატრიალეს კინო-ოპერატორებმა აპარატების სახელურები, აწკარუნდნენ ფოტო-აპარატები. ბერლინელმა „უკრაინელებმა“ უხვად ისროლეს თაიგულები. ქალები და ბავშვები, რომლებიც შიშით შეჰყურებდნენ ღობეს იქით მიმალულ ტყვიამფრქვევს, გაუბედავად ისროდნენ ამტვერებულ გზაზე ყვავილებს. მათი სახეები არავითარ ენტუზიაზმს არ გამოხატავდნენ, ამიტომ კინო-ოპერატორები იძულებული გახდნენ ობიექტივები უმთავრესად უკრაინულად გადაცმულ გერმანელ ჯარისკაცებისათვის მიეშვირათ.

მაგრამ უცბად მოხდა ერთი გაუთვალისწინებელი ამბავი, რომელმაც სრულიად გააფუჭა ასეთი გაქანებით დაწყებული ინსცენირება. როგორც კი მეთავე ტანკი სოფლის შუაგულში შეჩერდა და ამ ტანკიდან გამოვიდა ფაშისტი ოფიცერი, რომელიც დამხვდურებს თეატრალურად მიესალმა, ქალთა ჯგუფიდან პირდაპირ მისკენ შურდულივით გაიქროლა ორმა თაიგულმა. ამ ჯერად თაიგულები დიდი ენტუზიაზმით ისროლეს და ისინი მიზანში მოხვდნენ. ერთი მათგანი, პარტიზანის ცოლის პრასკოვია პანჩენკოს მიერ გასროლილი, ოფიცერს თავზე დაეცა და ოფიცერმა მაშინვე ჩაიკეცა. თაიგულიდან გამოვარდა საკმაოდ მოზრდილი ქვა.

კინო-გადაღება ჩაიფუშა. გაცოფებულმა ფაშისტებმა საბოლოოდ მოიხსნეს ნიღაბი და იქვე, ხალხის თვალწინ, მხეცურად გაუსწორდნენ მამაც კოლმეურნე ქალს, რომელიც საკადრისად შეხვდა ამ ფარისეველ გარეწარებს.

როგორც ჩანს, მზგავსი კინო-სურათების გადაღება ბატონ გებელსისათვის ბევრად უფრო მოსახერხებელია და უშიშარი ბერლინის კინო-ფაბრიკების პავილიონებში. საბჭოთა კოლმეურნეობებში იგი ვერ მოსძებნის ყალბი სურათების გადაღებისათვის საჭირო ისეთ სტატისტებს, რომელნიც მას ხმისამოუღებლად დამორჩილდებიან. მაგრამ საერთოდ ღირს კი ბატონმა გებელსმა თავი გაიჯახიროს ასეთი უიმედო საქმეებით? სულერთია, მთელმა ქვეყანამ უკვე იცის ,თუ რა ფასი აქვს მსგავს დოკუმენტალურ კინო-სიყალბეს. ჩიტი ბღლვნად არა ღირს.

მ. კოტოვი,
ვ. ლიასკოვსკი.

მომქმედი არმია.

# „მე და ჩემი და“

თუ რა ჯოჯოხეთური ამბები დაატრიალა ჰოლანდიაში ფაშისტურმა მიხაკისფერმა ჭირმა, ამის შესახებ მოგვითხრობს დირკ ვან დერ გეიდეს წიგნი „მე და ჩემი და“. წიგნის ავტორი ოკუპირებულ ჰოლანდიიდან გამოქცეული თორმეტი წლის ბავშვია. ეს წიგნი მისი დღიურია. პატარა დირკი გვიამბობს იმას, თუ როგორ შეიჭრა ომი მათი ოჯახის ყოფაში, როგორ შეხვდნენ მას მისი მშობლები, უმცროსი და და სკოლის ამხანაგები. დირკის მამა ჰოლანდიურ ჯარში გაუწვევიათ ,ხოლო დედა სამხედრო ჰოსპიტალში შესულა სამუშაოდ. დირკი სწერს, თუ როგორ გაჩნდნენ ერთხელ მოულოდნელად მისი მშობლიური ქალაქის თავზე ფაშისტური თვითმფრინავები, როგორ გარბოდნენ მცხოვრებნი ქალაქიდან, როგორ უწყალოდ ხვრეტდნენ ქალაქიდან გაქცეულ ლტოლვილებს. ადგილობრივ ფოსტის უფროსს პატარა დირკისთვის მიუცია თავისი ველოსიპედი და უთქვამს: „გაიქეც, დირკ, მე უკვე მოხუცი ვარ, შენ კი მოასწრებ თავის გადარჩენასო“. დირკის მამა მოუკლავთ, დედა დაღუპულა ჰოსპიტალზე დაშენილ ყუმბარების ცეცხლში. თვით დირკს მოუხერხებია თავის გადარჩენა და ინგლისური გემით ამერიკაში მისვლა. გემზე მას დაუმთავრებია თავისი დღიური, რომელიც სიმართლით გადმოგვცემს პატარა ავტორის ნახულსა და განცდილს.

# ჟურნალი „მნათობის“ № 6-7

გამოვიდა „მნათობის“ მე-6-7 ნომერი. „მნათობის“ ეს ნომერი უმთავრესად მიეძღვნა საბჭოთა კავშირის ხალხთა გმირულ სამამულო ომს.

ჟურნალი იხსნება ამხ. **მოლოტოვისა** და **ი. ბ. სტალინის** რადიოთი წარმოთქმული სიტყვებით. მათ მისდევს მეთაური წერილი: „სამამულო ომი და საბჭოთა მწერლობა“.

მხატვრულ ლიტერატურის განყოფილებაში დაბეჭდილია: ა. მაშაშვილის „სიმღერა გამარჯვებისა“ (ლექსი), ა. აბაშელის „ცამ დაიქუხა გუშინ“ (ლექსი), ს. ჩიქოვანის ორი ლექსი, ი. მოსაშვილის და კ. ლორთქიფანიძის ლიტერატურული სცენარი „ერთხელ ღამით“. კ. გამსახურდიას რომანი „დავით აღმაშენებელი“ (გაგრძელება) და უიარაღოს რომანის „მაძიებელის“ დასასრული.

ჟურნალში ცალკე განყოფილება მიეძღვნა დიდი რუსი პოეტის ლერმონტოვის იუბილეს.

ჟურნალში მოთავსებულია სუვოროვისა და ბაგრატიონის ბიოგრაფიები და საბჭოთა კავშირის გმირების—გრომოვის, ლევჩენკოს და კაშუბას წერილები.

მრავალფეროვნად და მდიდრულადაა წარმოდგენილი უცხოეთის სალიტერატურო, საყოფაცხოვრებო და სამხარი ქრონიკა.

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე. გ. ნატროშვილი,
შ. რადიანი, ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბ ლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 33902